რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლები ... ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროებისა" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე ხელის-მომწერთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

„დროების" ფასი:
წლიურად . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდის ასოებით, ასოზე 1 კაპ., ... ასოზე ნახევარი კაპ., ... 8 კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

არწრუნის თეატრი
ქართული წარმოდგენების დაწყება.
კვირას 26 სეკტემბერს
ქართული დრამატიული დასისაგან
იქნება წარმოდგენილი
I
პირველად
დედა და შვილი
...ხოდი დავით-აღმაშენებლის დროიდგან, ერთ სურათში,
ლექსად თ. ილ. ჭავჭავაძისა.
II
პირველად
ბ. ღომიძის დებიუტი
ფერი-ფერს, მადლი ღმერთს
კომედია 3 მოქმედ. ალ. ჭიჭინაძისა.
დასაწყისი 8 საათზედ.

ტელეგრამმა
(„სამხრეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

პეტერბურღი, 20 ენკენისთვეს. „გოლოსში" დაბეჭდილია უმთავრესი მუხლები ფინანსიურ დაწესებულებათა ცვლილებისა: გარდასახადის მოკრება, სახაზინო ფულის შენახვა და ხარჯი მინდობილი აქვს სახაზინო პალატებს. ამ პალატებს ექვემდებარება გუბერნიისა და უეზდის ხაზინები (კაზნაჩეისტვო). კოლლეგიალური წესდები „სახარჯო უწესტკებად" გაიყოფა, რომლის წევრებად მიწვეულნი იქნებიან, სხვათა შორის, საზოგადოების წარმომადგენელნიც.

საგზო სამინისტროს განკარგულებით, რკინის გზაზე საქონლის შენახვისათვის უქმ დღეებშიაც გარდახდებათ ხვედრი ფული საქონლის პატრონებს.

საგზო სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ვიცედირექტორი ნერონოვი, ვიცედირექტორად—მიხნევიჩი.

პეტერბურღის ბირჟა, 20 სეკტემბ.

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემისა—	94—75
მეორესი— — — —	91—75
მესამესი — — — —	91—37
მეოთხესი — — —	90—½
მეხუთესი — — —	90—12
აღმოსავლეთის პირვ.—	89—50
აღმოსავლეთის მეორე	89—50
აღმოსავლეთის მესამე	89—62
ოქრო, ½ იმპერიალი	8—18½

შინაგანის 5% სესხის ბილეთები:

პირველი სესხის—	— 212—25
მეორე სესხის	— — 206— „

100 მანეთი ღირს:

ლონდონი	— 24— 9	პენსი
ჰამბურღი	— 205—75	ცენტი.
პარიჟი	— — 253— „	სანტიმი
ბერლინი	— „ — „	პფენიგი

რუსეთის ცხოვრება და კატკოვი

ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად საინტერესოა ჩვენთვის რუსეთის ცხოვრებისთვის თვალ-ყურის დევნა; ყოველი მისი ცვლილება, ავი და კარგი, მისი წარმატება და უკან დახევა ჩვენთვის ერთობ საგრძნობელი და საყურადღებოა, რადგანაც ყოველივე ესე არ შეიძლება კარგად ან ავად არ შეგვეხოს ჩვენცა და თავისი ბეჭედი არ დასდოს ჩვენს ცხოვრებას.

ეს აზრი შეადგენს შეურყეველს ჭეშმარიტებას იმათთვის, ვისაც თვალყური უდევნებია რუსეთის და ჩვენი ქვეყნის ცხოვრებისათვის, მათი შინაური საქმეთა და გარემოებათათვის და შეუდგენია რწმენა, რომ ჩვენი და რუსეთის ცხოვრების შორის არსებობს მჭიდრო კავშირი.

მკითხველმა კარგად იცის, რომ რუსეთში ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი რომ ცვლილება მოხდა; ამ გარემოების მიზეზიც ადვილად გასაგებია, თუ მოვიგონებთ ბოლო წლების ისტორიას, მათი ხასიათს და მიმართულებას.

ეს ერთ წელიწადზე მეტია, რაც რუსეთის შინაური საქმეთა მსვლელობამ მიიღო ერთი საზოგადო ხასიათი და დაადგა ერთს გარკვეულს გზას; რაც უფრო-და-უფრო დავაკვირდებით რუსეთის ცხოვრებას, მით უფრო ადვილად დავრწმუნდებით ზემოთ-ნათქვამის ჭეშმარიტებაში. თან-და-თან უფრო გარკვევით ისახება რუსეთის ცხოვრების მიმდინარეობა და, იმედია, მომავალი კიდევ უფრო საბუთიანათ დაამტკიცებს ჩვენს აზრებს. ამ ჟამადაც ხელთ გვაქვს რაოდენიმე ფაქტები, რომლის შემწეობით შეგვიძლია აუხსნათ და საკმაოდ გავაგებინოთ მკითხველებს რუსეთის ცხოვრების მიმდინარეობის ხასიათი. ამისათვის ჩვენ უნდა მოველაპარაკოთ მკითხველებს რუსეთის ცხოვრების ზოგიერთ მოვლენათა შესახებ.

რა მდგომარეობაში იმყოფებოდა დღემდის რუსული მწერლობა—ეს თითქმის ერთად-ერთი საზოგადოებრივი ძალა,—ყველამ კარგად ვიცით. რუსული მწერლობა არ ჰკარგავდა იმედს თავის მდგომარეობის გაუმჯობესობაზე; ყოველი ამბავი ბეჭდვის კანონთა შესახებ მას მიაჩნდა კარგ ნიშნათ, თუმცა, როგორც მისთვის, აგრეთვე ყველასთვის ცხადი იყო, რომ მისი ბედ-იღბალი შეკავშირებული იყო რუსეთის საზოგადო ცხოვრების წყობილებასთან. მისი მდგომარეობა ჩამოგავდა იმ ტუსაღის მდგომარეობას, რომელიც დიდი ხნის ტყვეობისაგან დაუძლურებულა, რომელსაც ტანში გასჯდომია ძნელად გასაკურნავი სენი და თავის ოთახის კარებში

„დროების" ფელეტონი, 22 სექტემბ.

რამე-რუმე
(სამსჯავროში)

შვიდი საათი გახლდათ საღამოსი, რომ მატარებელით ვიახელით ბორის ვაგზალთან. საღამო მშვენიერი და საამოვნო იყო, მხოლოდ დასაქცევი ზენა ქარი თავისას არ იშლიდა, საკმაოდ ჰქროდა და უფრიალებდა ლეჩაქ ბაღდადებს სეირანზე გამოსულ ბორის ქალებს.

ხალხი ერთობ ბევრი გამოსულიყო, მეტადრე ქალები; კავალრობაც, მეტადრე აფიცრები, ბევრნი გახლდნენ. ყაზახის აფიცრებს ძალიან გადაეთხლიშნათ ბახუსის წვენი, დამფთხლებივით დაქშოდნენ ხალხში, ხან ერთ ქალის ჯგუფსთან მიეკეტებოდნენ, ხან მეორესთან; საშინლად ექცეოდნენ; რამდენიმესაც, როგორც შევნიშნე, ახალუხის საყელოები გაეღლიჯნათ და დაეხირებოდნენ.

ამათში ერთი იყო შესანიშნავი როგორც გარეგანის თვისის ფიგურით, აგრეთვე ქცევითაც. ეს სანატრელი ვაჟბატონი იყო წითელი, როგორც ახლად მოხარშული კიბო; ბავშვს რომ რამე დანაშაულში მოასწრობ და სირცხვილის გამო ყურებამდინ წითელი ალი აჰკრავს, სწორედ ისე იყო გაატლასებული.—იქნება მუდამ სინიდისი სწამს, მეთქი გავიფიქრე! მაგრამ ჩვენ დროში სინიდისი როსკიპობად გადაქცეულა: როსკიპი ხომ სულ წითელია! დიახ, ის ვაჟ-ბატონი ერთობ შეუვიქრებული იყო. ტანად დაბალი, როგორც სალორის ბოძი; თავი შუბლიდამ მოკიდებული; საქოჩრემდინ გამელოტებული; წვერი ჩამოკრეჭილი, რომელიც შეგროვებული ჰქონდა ნიკაპთან, ულვაში გაბარდღლული და წვერში გარეული; ისრე ჰქონდა წვერულვაში პირთან მოწყობილი, თითქო რამე ბურტყლიანი ჩაუყლაპნია და ბოლო გარეთ დარჩენიაო. თვით გვამი იმ ბატონისა რგვალი იყო, გაბერილი და გასუქებული, რისგამოც ბალანი ყირას ედგა პირის კანზე. ხმა ყელში მეტის ქონისაგან ჩახრინწული; ქუდი-ფაფახი ედო სწორედ იმ ალაგს, საიდამაც სიმელოტე ეწყობოდა; მარდად, როგორც წყილი, დახტოდა ქალებში. შეხედულობა თითქო მამაცური ჰქონდა, თუმცა დაბალი ტანისა იყო. მოტრიალდა ხალხში, აბაჯბაჯდა, გაარღვია ხალხი და დაეტაკა ერთ მაღალ-მაღალ, ქართულათ ჩაცმულ ახალ-გაზდას, დაუჭირა მკლავი და მოატრიალა.

— თქვენ ჩემზე, რაღაცეებს ლაპარაკობთ, უნდა მე ამიხსნათ, თორემ... და აქ თითის ქნევა დაიწყო ამ ბაჯბაჯა კაცმა.

— დრო არ არის მაგისი, ამიშვი, მკლავს ნუ მიჭერ, ეუბნება ქართველი.

ბაჯბაჯამ მიიხედ-მოიხედა; უცბად გაჩნდნენ მისი ანგელოზები; გული მოიცა, არ უშვებს.

— უნდა ეხლავე ანგარიში მამცე. მე, იცი, ვინა ვარ?

ანგელოზებმაც მიზდეზეს; საქმე გააჭირვა ერთმა პირუტყვების ექიმმა, რომელიც იმ ბატონს და მისს ანგელოზებს კუდათ გამობმია.

— მეჰუ! ესენი აღარა ხუმრობენ! შეიტია ახალ-გაზდა ქართველმა და ძაა-ძაანი აუკიდა. რომ დაატყეს, ცუდათაა ჩვენი საქმეო, უშვეს ხელი.

ხალხი დაიშალა; მატარებელი ტფილისისკენ დაეშვა. მეც ჩემი საქმისთვის აქ დავრჩი.

ხალხში ლაპარაკი ჩავარდა ამ სკანდლის თაობაზე. ზოგი ამას ამართლებდა, ზოგი ქართველს. ბავძვერ-გამოძვერ, მინდოდა ვინაობა შემეტყო, აღმოსჩნდა, რომ ეს გმირი, ბახუსის მეგობარი, კიბოსავით წითელი გბლებიათ ყაზახის ერთი სამთო ბატარეიას უფროსი, რომელიც ახლო სოფელში სდგას თავის ბატარეიით.

— ჩვენში ჯერ ისევ საშუალ საუკუნოებია, ისევ ინკვიზიციის ჟამიაგას! მეტყვის ხოლმე ერთი ჩემი ნაცნობი მეგობარი.

— შენ, თავში თუ დგას-მეთქი, ახლა მე ვეტყვი ხოლმე.

— არა! დაჟინებით მეტყვის.

ერთხელ რომ გამაჯავრა, მეც შეუყვირე:

— არა და არა! ჰო ეგრეა, ეგრე, ახლა ხომ გულმა მოგისვენა!!

დიახ, ისეთი ხალხი ასხია ეხლა ჩვენ ქვეყანას, რომ ამისთანაებს ბევრს აფიქრებინებს კაცს.

—

ბავიდა რამდენიმე ხანი ზემო-აღწერილი სკანდალის შემდეგ. ერთს დილას ვიღამაც სამსჯავროში ამახეტა (ბორში); გწყალობდეთ იმისი მადლი

კლიტეების უბრალო რაწკუნი მიაჩნია თავის განთავისუფლების ნიშნათ.

სწორეთ ესრე მოუვიდა ამ ბოლო ხანებში რუსულს მწერლობას. რამდენჯერმე გამოცხადებული იყო გაზეთების საშუალებით, რომ შესდგა ან სდგებაო კომისსია ბეჭდვის შესახებ კანონთა განსახილველად და იმედიაო, რომ სანატრელი ცვლილებანი მოგველისო და სხვ. მაგრამ, მწერლობის და საზოგადოების სამწუხაროთ, ამისთანა ხმებს და ბეჭდვის კანონთა განხილვას მოსდევდა მხოლოდ ალაგმა მწერლობისა, რომელსაც რჩებოდა ერთი ნუგეში: ღმერთო უარესი აგვაცდინეო. ამისთანა შემთხვევა ყოველთვის აფხიზლებდა მწერლობას და მოაგონებდა, რომ „სხვა-და-სხვა ჭირი მის თავზედ არ ახალია, ძველია". მართალი უნდა ვსთქვათ, მართებლობა მტკიცეთ ასრულებდა თავის პროგრამმას და თან-და-თან უფრო-და-უფრო ჰკვეცდა ფრთებს მწერლობას; მაგრამ მან თავის მიზანს ვერ მიაღწია.

ამ ბოლო წლებში მთავრობამ საჭიროდ დაინახა მწერლობის შევიწროება, რადგანაც მასში, თავის აზრით, ჰპოვებდა არა კეთილ-საიმედო აზრებს და მიმართულებას. ეს შავ-ბედითი ყორანი ხმას აღამაღლებს ხოლმე ყოველთვის იმ დროს, როცა რუსეთში სუფევს შინაური არეულ-დარეულობა, როცა ყოველივე პატიოსანი, საზოგადოებრივი აზრის თავისუფლების მძებნელი კისერ-მოხრილია და, გარემოებათა წყალობით, იძულებულია ხმა გაიკმინდოს.

აი, ამ ბოლო დროსაც, როცა მოელოდნენ ბეჭდვის კანონთა დამატების გამოცემას, პატკოვმა დაჰკრა ნაღარა და საქვეყნოდ ღაღადებდა, რომ რუსეთში მართებლობა არ არსებობსო, მან თავისივე ხელით გაიუქმა თავიო და მწერლობა შეიქნა რუსეთში თვით მბყრობელი და ყოვლად-ძლიერიო. პატკოვი შეჰხაროდა მწერლობის ფრთების მომკვეცი კანონების გამოცემას, რადგანაც მან კარგად იცის, რომ მაშინ ის და მისივე რაზმის მწერლობა შეიქმნებიან მართლადაც თვით მპყრობელნი და ყოვლად-ძლიერნი. მას არა ჰყოფნის ის სიბნელე, რომელიც მან დაამყარა რუსეთში თავის ხანგრძლივი ლიტერატურული მოქმედების განმავლობაში, და ის ზიანი, რომელიც მან მიანიჭა საზოგადოებასა და მწერლობასა.

ა. ნა—ლი.

(დასასრული ხვალ)

დღიური

„მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია შემდეგი ახალი კანონები დრო-გამოშვებით გამოცემათა (ჟურნალ-გაზეთების) შესახებ:

1) რედაქციები იმ გამოცემათა, რომელნიც კვირაში ერთზე ნაკლებ არ გამოდიან, მესამე „გაფრთხილების" ვადის გასვლის შემდეგ ვალდებულნი არიან ღამის 11 საათამდინ წარუდგინონ ცენზორის კამიტეტს თითო ეგზემპლიარი თავის გაზეთისა და ცენზორის ნომერში, შეაჩერონ გაზეთი სასამართლოში საქმის დაუწყებელად.

2) იმ დრო-გამოშვებით გამოცემათა რედაქციები, რომელნიც (გამოცემანი) წინასწარ ცენზურისაგან არიან განთავისუფლებულნი, ვალდებულნი არიან, შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნილებით, გამოაცხადონ სახელი და გვარი იმათ ჟურნალში ან გაზეთში დაბეჭდილ სტატიების ავტორისა.

3) მოსპობა ან დროებით შეჩერება რომელიმე უცენზურო ანუ ცენზურიან ჟურნალ-გაზეთისა დამოკიდებულია შინაგან საქმეთა, სახალხო განათლებისა, იუსტიციის მინისტრებისა და ობერ-პროკურორის გარდაწყვეტილებაზედ.

4) ყველა ამ ზემოხსენებულს წესებს ექვემდებარებიან აგრეთვე ის დრო-გამოშვებითი გამოცემანიც, რომელნიც კერძო პირებს არენდით აქვთ მიცემული მთავრობისა ანუ სამეცნიერო დაწესებულებათაგან.

დიდი ხანია ველოდით ბეჭდვის მდგომარეობის შემამსუბუქებელ კანონებს და აი ვეღირსეთ...

* * *

კავკასიის მთავარ-მმართებელი დაბრუნდა მოგზაურობიდამ და მის შემდეგ ისევ ძველებურად მიიღებს მთხოვნელებს, ე. ი. სამშაბათ-შაბათობით, ნაშუადღევის პირველს საათზე.

* * *

ტფილისის პირველ (კლასიკურ) გიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ ამ ენკენისთვის 26-ს, შუადღეზე, იქნება წლიური აქტი გიმნაზიაში და შაგირდების მშობლებსა და ნათესავებს სთხოვს დაესწრნენ ამ აქტზე.

* * *

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ზოგიერთ ფულიან ხალხს ჩვენის მხრისას სკოპინის ბანკში აქვთ შესანახად გაგზავნილი ფული (სხვათა შორის, გაგვიგონია, რომ ზოგიერთ უბრალო მთიულებს, გლეხებს, ორას-სამას თუმნობით და მეტიც—აქვთ ამ ბანკში ფულიო). ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ ვაცნობოთ ამ პირთ, რომ ხსენებული სკოპინის ბანკის საქმე ამ ჟამად, როგორც რუსულ გაზეთებში იწერებიან, ძალიან ცუდათ არის თურმე. აღმოჩნდა, რომ ამ ბანკის გამგებელს ბ. რიკოვს რამდენიმე მილიონი შეუჭამია ბანკის ფულები. დიდ-ძალი ხალხი, რომელთაც ამ ბანკში შენახული ჰქონია ფული, მისულა თურმე ამ ჟამად ქალაქს სკოპინში, თხოულობენ ფულების უკან დაბრუნებას, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავის არაფერს არ აძლევენო, თვითონ რიკოვი კი კაცს არ ეჩვენებაო.

ამიტომაც ვურჩევთ, ვისაც რამე აქვს სკოპინის ბანკში, ახლავე იხმარონ რაიმე საშუალება, სულ თუ არა, იქნება ერთი ნაწილი მაინც ამოიღონ თავის ფულებისა.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ დღეებში რამდენსამე პირს გაუმართავთ, ერთს ქალაქს გარე ბაღში, გაუმართავთ სადილი იმ კამისიის წევრთათვის, რომელიც კავკასიის ახალ რეფორმების შესახებ პროექტის შესადგენად მუშაობს ამ ჟამად ჩვენს ქალაქში. სადილზე, როგორც ამ გვარ სადილს ეკადრება, წარმოთქმულა რასაკვირველია, ბევრი რეჩები, დალეულა ბევრი სადღეგრძელოები, ზოგიერთს თავის მჭევრ-მეტყველობაც კი დაუმტკიცებია და სხვ. და სხვ.

* * *

ქუთაისიდამ გვატყობინებენ:

„ქუთაისის ოლქის სამართველომ სოფ. დილიკაურის აბაშიძეებს მათს თხოვნაზე—ორასი კომლი კაცის პაცხის მონასტრის გლეხების დაბრუნება-

---

ხალხით სავსე იყო. ეხლა ხომ ეკკლესიაში ალარავინ დაიარება, სამსჯავროები გადაიქცა ეკკლესიებად; ეხლა იქაა სკოლა ზნეობისა, სკოლა დავი-დარაბისა.— ეკკლესიაში ეხლანდელ კაცს, სთქვა ერთმა ოხუნჯმა მღვდელმა, ქუდი რომ შეუგდო, ორ აბაზს გამოსატანს მისცემსო სხვას და თვითონ კი არ შევაო. სამსჯავროში კი თითონ მიიწევს, როგორც სანთელზე ფარვანა.

ცხელა ზალაში მყრალი სუნი სდგა; სიჩუმეა ასეთი, რომ ბუზის გაფრენა არ გამოგეპარებათ; ხალხი წინ წამდგარა.

— „ჩხაკ!" შემომესმა დეზის ჩხაკუნი და ხალხში გავარჩიე წითელი, ბამბის ეპოლეტი. გავარღვიე ხალხი, ჩემ თვალს წარმოუდგა ჩემ-მიერ ნახული ბორის ვაგზალზე მაღალ-მაღალი ქართველი. მოსამართლე რაღასაც სწერს; ქართველი არხეინად სდგას მაღალ სტოლთან; მარჯვნივ სდგანან ორი ჟანდარმი; ჟანდარმებს გვერდს უდგას ერთი შავ-წვერა კაცი, გამხმარი, ტუჩებ სქელა, ქოჩორი გვერდზე გადავარცხნილი; პირი დაღეულია და კბილები უჩანს; შედიან და გამოდიან ბუზები კბილის ხანებში; ეს შავ-წვერა გაცეტებულივით სდგას; ფერი ერთობ გასცივებია, დასტეტკია, განაცრისფერებია.

— რაღაც უბედურობაა-მეთქი, ამის თავს, ვიფიქრე. ეს რაც არის, უთუოდ ამის თავს არის. შემეცოდა, შემეცოდა ეს შავ-წვერა, რომ მეტი რა მოგახსენოთ. ჩემი ცოდვით სავსე მოსამართლემ კალმის ფხაჭუნი არ გაათავა. გული მილონდება, მინდა მალე გავიგო; მივუჯექ ერთ ყმაწვილს.

— გეთაყვა, ძმობას, შემატყობინე, რასშია საქმე!

— პირუტყვების ექიმი ბორის ვაგზალის რელსებს უჩივის! სთქვა და ჩაიცინა.

— ეე, დალოცვილო! ვუთხარი მე მოუთმენლად,—ნუ ხუმრობთ...

— ღმერთს გეფიცებით, რომ მართლა. აი, ის მაღალ-მაღალი თ. ნ. დ—ძე; ამას და ერთ აფიცერს იმ დღეს ვაგზალზე ლაპარაკი მოსვლიათ; რომ დაშველებულან, პირუტყვების ექიმი ბ. ლ. ამ თავადს გამოჰკიდებია; ძალიან ნასვამი ყოფილა, წაბარბაცებულა, დაცემულა რელსებზე და გვერდები მიუბეჟნია.

— იმას რაღა უნდოდა იქა?

— მაშ პირუტყვებს ექიმი არ უნდათ? მითხრა იმან.

— ეს მკვდრის ფერი რომ დასდებია, ვინ არის? ან ეს ჟანდარმები? რაო, რა გვინდაო?

— ეგ არის რაც არის, ეგ მკვდრის-ფერაა; მაგას ეგრე ნუ უყურებ, გული შიგნით აქვს: ეგ არის ჩვენი შუქურ-ვარსკვლავი, ჩვენი ადვოკატი. ეგ თავგამოდებულია: უნდა აის თავადი ციმბირში გააგზავნინოს, როგორ თუ არტილერიის პოლკოვნიკს და პირუტყვების ექიმს შეურაცხყოფა მიაყენაო. მერე ამოდენა პირუტყვებს რა ეშველებაო... (ჭინაღამ რა გვეშველებაო, თქვა). ამისთანა განათლებულ ხალხს შეურაცხყოფას აყენებენ, ფიე, მაშ შენი შავი ადვოკატი მოგიკვდეს, თუ მაგას ციმბირში არ ამოვაყოფინო თავიო. ამას, ხომ მოგეხსენებათ, რაც ალაპარაკებს: კბილ ქვეშ ფული ამოუდეს და ეხლა ეგ ძმას გაჰყიდის გადამთიელებისთვის. მეორეც ეს, მაგას იმ თავადის მჭვლები ადგია. თქვენ ეს ანდაზა არ გაგიგონიათ: ქუთაისში ხიდზე ერთ კაცს ძაღლმა უკბინა; ჩამოვიდა შემდეგ ტფილისში; კუკიის ხიდზე მიმავალმა დაინახა ერთი მშვენიერი ძაღლი, იშიშვლა ფიშტო და საცოდავს ფეხები შეაშველინა: „შენც ძაღლი ხარო!" ვილაცას გაუჯავრებია, თუ თითონ ამას როდისღაც, და ამაზე ყრილობს ჯავრს; მაგრამ კი ვერ ამოიყრის.

— ე ჟანდარმები რაღას აკეთებენ?

— ეგენი რელსების მხრივ გახლავან.

ზარმა გაიწკრიალა. წაიკითხეს ვილასიც განაჩენი; შემდეგ ამოიკითხეს შავი-ადვოკატი და მოპასუხე მისი.

— მოწმები არ არიან; ბატონმა მოპასუხემ დაქრთამა მოწმები, არ მოვიდნენ; მაგას უნდა, რომ ისინი არ მოვიდნენ... მე კი გთხოვთ, რომ გაარჩიოთ და ციმბირსა შინა გაგზავნოთ.

— ხედავ რა ადვოკატია! მითხრა მე ახალმა ნაცნობმა, ჯერ დაიცა, მაგისთანა მარგალიტებს ბევრს დააბნევს.

— ჩემი მარწმუნებელნი, უნდა მოგახსენოთ, დაიწყო სიტყვა ადვოკატმა, გასაოცარი პატიოსანი ხალხნი არიან: ლოთობენ იმიტომ, რომ არ მოეწყინოსთ; ქალებს დასდევენ იმიტომ, რომ ეხლანდელი განათლება ითხოვს ; თუ ჩემ მარწმუნებელთ ხელქვევითნი—ეს რა უყოთ: ამათ მიბრძანეთ : ეს ყველგან მიღებულია, მაშ ჩვენი მხარე, ჩვენი საქართველო (ქართველიც ყოფილა ადვოკატი!?) რაღ უნდა იყოს გამორიცხული! კიდეც იმითი ვართ უბედურნი, რომ ყოველი ამ ნაირი განათლების სხივი ჩვენამდე ერთობ

…და მათ მამულებზე უსტავენი გრამა…ების შედგენაზე—უარი უთხრა ამ …ის 16 რიცხვს. ეს საქმე ბ. დავით ლორთქიფანიძეს, თთ. აბაშიძეების …ულს გადააქვს სუდებნი პალატაში, …ც იმედი აქვს მოიგებს.

* * *

პეტერბურღის გაზეთები გვაცნობებენ, რომ გრაფი ლორის-მელიქო… დაბრუნდა სამზღვარ გარეთიდამო …მთელ ამ ზამთარს პეტერბურღში …ატარებსო.

* * *

…ქუთაისიდამ გვწერენ:

„დღეს, 18-ს სეკტემბერს, ერთი …ხარელი ხანახავის მოწამე ვიყავი: …ის ხიდთან ქალაქს ჰქონია ძვე…ლ ყაზარმების (რუსების აბანოს) …ნაყოფი ადგილი, და ამ ადგილ…მდგომი უბრალო ხის სახლი …ყიდნია ერთს გადამდგარს სალ…ს პოლშელს მოხელეს (სტოლა…) და რამდენიმე წელიწადია დგას … 1877 წელს სასამართლოს გან…ბით ამ სახლის პატრონს გარ…წყვეტილი ჰქონია სახლის აღება …ადგილის დაცლა. ქალაქის სამმარ…ლოს აუღია ლისტი ამ გარდაწყ…ლების ძალით და გარდაუცია იგი …თავის წევრისათვის (ი. მესხი…), რომელსაც, სამსაჯულოსა …პოლიციის ბაქაულების შემწეო…, სისრულეში უნდა მოეყვანა ეს …დაწყვეტილება, თუ კი სახლის …რონი თავის ნებით არ დაცლიდა …ლს და სახლს სადმე სხვაგან არ …ტანდა. 1879 წლიდამ სახლის …რონს, რამდენჯერმე დაუნიშ… ახალი ვადა, რადგან იხვეწებოდა, … სახაზინო ადგილი მაქვს ნათხოვ…არენდით და სანამ ნება გამომივიდეს, მანამ მაცალეთო. სხვა ადგილი ვერსად იშოვნა, მმართებლობამ მისი თხოვნა არ შეიწყნარა და დღესაც შპრავისაგან მოცემული უკანასკნელი ვადაც გაუვიდა.

„ზემოხსენებულნი პირნი მისულან სახლზე, მუშებით და არ დაუცლიათ სახლის პატრნისათვის, რომელიც არ ყოფილა იმ დროს შინ, მოუყენებიათ მუშები სახურავის ასახდელათ. ნახევარი სახურავი რომ ააცალეს, ამ დროს მოვარდა სახლის პატრონი, ავარდა სახურავზე ჯერიდამ, და ერთს მუშათაგანს, რომ არ გარდმომხტარიყო, ის-იყო კინაღამ გაუპო თავი კეტით. მაგრამ ამ დროს ეცენ დესიატნიკები და ერთის ღრიალით და ვაი-ვაგლახით ჩამოიყვანეს ძირს და მხრებწაკრული წაიყვანეს პოლიციის კომკარში, დასამწყვდევათ მანამ სახლს დაანგრევდნენ.

„საზარელი სურათს წარმოადგენდა ცალკე მამის ყვირილი.—„ნუ მიმგვრევთ სახლსაო“! და ცალკე შვილების ტირილი, რომელნიც ეხმარებოდენ მამას როდესაც იმას პოლიციის დესიატნიკები აკავებდნენ. ამ სურათის ნახვით გარდაქცეული, გულ-წასული ცოლი შინ ეგდო პოლზე!..

„რამდენათ შეუბრალებელია კანონი და კანონზე კიდევ უფრო შეუბრალებელი აქაური ქალაქის სამმართველო ყოფილა! ჩემის აზრით, ქალაქის სამმართველოს არ ეკადრება რომ ისპოლნიტელი ლისტის ძალით ის ღონის-ძიება იხმაროს თავის ქონების ამოსაგებათ, რაც მაგალითად შეიძლება რომელიმე კერძო პირმა მაგ. ჩვენებურმა ურიამ ჩაიდინოს. ქალაქსაც აქვს ვალები, პაგ. ჯარებისა! რა იქნება, ერთს დღეს რომ ამ ვალებში ქალაქს აუწერონ რაც კი რამ უძრავი ან მოძრავი გაჩნია! კერძო პირი უფრო შესაბრალისი უნდა იყოს, შემწეობას, ხელის გამმართვს უნდა მოელოდეს ქალაქის სამმართველოსაგან, ვინემც ეს უკანასკნელი პირველისაგან...“

„დროების“ კორრესპონდენცია

—

განჯა, 17 ენკენისთვეს. წუხელი ღამით სამ საათზე მოხდა აქ შესაძრწუნებელი ამბავი:

სამ ვერსზე სოფ. ჩოლიაქში ადგილობრივმა პოლიციამ შეიპყრო სამი განთქმული გავარდნილი ავაზაკები—თათრები. (ამაში ურევია ერთი იმ თათართაგანი, რომელმაც მოკლა წარსულ აგვისტოში თათრის გასათხოვარი ქალი.) აი საქმე როგორ მოხდა:

ერთ სომეხს მიუხდენ გუშინ წინ სახლში და უთხრეს, თუ შენვე ბაღში ხვალ ამდენი მანეთი არ მოგიტანიაო, მოგკლავთო. სომეხი წამოსულა და პოლიციისათვის გამოუცხადებია. ბ. პოლიცმეისტერს განკარგულება მოუხდენია; მოუყარეს თავი ღამის ყარაულებს ყაზახ-რუსებს და გასწიეს სოფ. ჩოლიაქში. შემოერტყნენ ბაღს; დაინახეს თუ არა მათ თოფები გაისროლეს, შეიქნა აქედამ და იქიდამ თოფების სროლა; ორი ავაზაკი დასჭრეს და ერთი გაიქცა, სწორეთ ის გაიქცა, რომელიც ყველაზე უფრო დამნაშავე იყო, ესე იგი ქალის მკვლელი.

საზარელი შესახედავი იყვნენ, როდესაც ფურგუნით ჩამოიტანეს განჯის პოლიციაში. ერთს აქვს ტყვია საფეთქელში და მკლავში, მეორეს საფანტი ცხვირ-პირში და ფეხებში, საფეთქელში რომელსაც აქვს ტყვია—არ მოურჩება, ძლივს ღაფავდა სულს.

ამ თვეებში ძალიან შეშინებულნი იყვნენ აქაური მცხოვრებლები, ასე რომ დაღამდებოდა თუ არა, სახლიდამ არ გამოდიოდნენ; ეს ვაჟბატონები—ავაზაკები სახლში მივიდნენ, ფულებს სთხოვდნენ და დაემუქრებოდნენ—თუ ამა-და-ამ დროს ამდენი მანეთი არ მოგიტანიაო, მოგკლავთო. ბევრი ასრულებდა მათ ბრძანებას.

მგონია „დროებაში“ არ ყოფილა დაბეჭდილი—თუ რისთვის მოჰკლა თათარმა ქალი, ამიტომ მოგახსენებთ:

თათრისათვის ცოლობის პირობა მიეცა ქალს დედ-მამის დაუკითხავად; ცოტა ხნის შემდეგ სხვა თათარი შემოძლევია, ქალი დედ-მამის ბრძანებით დათანხმებულა და დანიშნულა. ეს ზემოხსენებულ თათარს გაუგია, მისულა ქალთან და უთქვამს, თუ ასეა საქმე გავიქცეთო. ქალს უარი უთქვამს.—მაშ რათ მომეცი პირობაო?—მე კი მსურდა წამოგყოლოდი, მაგრამ დედ-მამამ სხვას მიმცაო.

მეორე დღეს თათარი დაიარაღებული მისულა ქალთან სწორეთ იმ დროს, როდესაც სახლში არავინ ყოფილა, ქალის გარდა;—წამოდი, ეხლა არავინ არის, გავიქცეთო. ქალი კიდევ უარზე დამდგარა. თათარს ამოუღია და დაუცია ხანჯალი გულში.

ქალი იმ წამსვე მოკვდა, მკვლელი კი გადავარდა.

გადავარდნილმა ორი ამხანაგი იშოვა და აქამდინ მთელ განჯას აწუხებდნენ.

ვ. ჭოღველი.

ტფილისის სამკურნალო

ავადმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

ორშაბათს გარსევანი და ლი-

…ან მოაღწევს ხოლმე. სხვას ყველას …მობ, მაგრამ პირუტყვეთა აქიმი!? … რომ რელსებზე მომკვდარიყო, …ენა პირუტყვთ რა ეშველებო…!!.

—ფრთხილად იყავით ლაპარაკში; …ეთ, ბატონო მსაჯულო, გა…ხილოთ ადვოკატი; პირუტყვე… მივაჩნივართ ყველანი, დაიჩივლა …უხმ.

—მითხარ, ჯერ სადა ხარ-მეთქი! …ვებთან ბატონია, ისეთი ადვო… გვყავს, რომ უუუ!.. საიქიოს …ტები, საიქიოსი!!

—მე, ბატონებო, ვიცავ ჩემ მრწმუ…თ ღირსებას და პატიოსნებას; … ყველამ შეურაცხება მიაყენოს …თანა განათლებულ გვამთ, მერე … გვეშველება! ხომ აღარავინ …ება ჩვენს ქალაქში! მერე რა …ლებათ ქალებს? ამ საუკუნეში … ქალებისთვის ზრუნავს და ჩვენ …ღმერთმაც არ იცის რას ჩაედი…! აქ შავმა მოიგრიხა კისერი …ის ნიშნად და მიაძახა: „—მე …!“ ჩაჯდა და კმაყოფილების … წვერს დაუწყო ცოდვილება.

…კატს, რასაკვირველია, ესეები …ლაპარაკნია, მაგრამ მე და ჩემმა ახალმა ნაცნობმა ეს სიტყვები მის სახეზე წავიკითხეთ, სტრიქონებს შუა სხვა რამის გამოთქმა უნდოდა.

„შემებრალა ბატონი, შემეცოდა მესტვირე,
და აწ შენ სცან, მკითხველო, მე რომელი ვიტირე!“

—

სამსჯავროს დერეფანში გამოველ; ოროლ-სამ-სამი კაცი იდგა, ბაასობდნენ, გაცხარებული სჯიდნენ ამ ახალ საქმეზე.

— აი შეარცხვინა ღმერთმა, ამბობს ერთი ახალ-გაზდა კაცი,—როგორ მოჰკიდა ხელი ამ ჭუჭყიანს საქმეს! ცამდინაც რომ მტყუანი ყოფილიყო მოპასუხე, მაინც მავას არ უნდა ეკისრნა; რაც უნდა იყოს ეგ თავადი ჩვენი კაცია, ჩვენში მოქმედობს, ჩვენ ინტერესებს, რაც შეუძლიან და რაც ღონე აქვს, იცავს; მაგისთანა კაცი ჩვენგან გასამტყებელი არ არის; პირადობამ არ უნდა აქმნევინოს კაცს უსვინიდისობა. თუ ჯავრი სჭირდა, სხვა ნაირად უნდა გასწორებიყო. მაგას ვერას უზმენ, და უნდა ისეც შავმა სულით შავად იაროს.

— რა დასაცველი ხალხია, რა, მითხარით ერთი? რა კეთილი უქმნიათ ჩვენთვინ ბოროტის მეტი, ამბობს ხმამაღლივ მეორედგან ვილაც.

— ბიჭო, რას გიკვირთ! თავის დედაზე დასწერს ეხლანდელი ადვოკატი არზას, თუ გინდ დაგენიძლავები, ერთი მანეთი კი მიეცი.

— იორდანე, ეუბნება ერთი გლეხი მეორეს, შენ რაღათ ჩამოსულხარ.

— ეშმაკათა და ქაჯათა! პოსრედნიკმა პატრუქოვიმა დამიბარა, შემიყვანეს, კაცო, და სუ ყურის ძირები ამიწვეს ცემითა.—ბატონო! რას მემართლებით, მეთქი. მომაბრუნეს, მკრეს პანღური: „—გადი შე მამა-ძ—ვო!“ არ ვიცი რა უყო. წავიდე შინა, ვაი თუ გამიხათაბალავდეს. ი. პატრუქოვი შემხვდა ქუჩაზე წვეტორლიალე დასალაპარაკებლად და ისეთი გადმომბღვირა, რო ენა მუცელში ჩამივარდა... შენ რაღათ ჩამოსულხარ?

— მე, კაცო. მამული არ ვიყიდე ი ჩემი ბატონისა; ეხლა წამართვა, შენ გირაოთ მოგეციო ათ თუმანშიო; ფულები გადმომიყარა. თავი არ მომიკვდება, ოცი თუმანი ხუშკი დაუთვალე.

— მერე ლოტარუსთან არ დაამტკიცებინე?!

— მა, კაცო, უმაგისოთ როგორ ვენდობოდი. ხელის მოსაწერში ასლანოვს ნახევარ თუნგი ღვინო დავალევინე. წამიკითხეს, რომ მამული შენიაო, იყიდეო. ეხლა კი ცარიელზე დამსვეს... ი შვლეფაძე მეუბნება, რო მაგ საქმეს გამოგიტრიალებ, ოღონდ ი შენი ვენახის მოსავალი ერთ წელიწადს მომაჭამეო.

— რას იზამ, ძმავ, უცოდინარი კაცი საქმე ასეა...

— ღმერთი ცოლ-შვილს გიცოცხლებს,—სტეფანე, ერთ თუმანს დამჯერდი, ეუბნება ხმა დაბლა გლეხი ვილაც მწერალს.

— კაცო, ქაღალდი უნდა გამოგიტანო და ერთი თუმანი!? რა ვქნა, ეგეც ზუბიოვს გამოვართვი, ორი კოდი პური უნდა მივცე სარგებელი..

— იქით შემოდი... გაშორდებიან.

აქეთ ორნი თავი თავს მიდებულნი ჩურჩულობენ.

— ამოფხიკე?

— ამოვფხიკე და ისე ჩავაწერე, რო ღმერთი ვერ მიხვდება. ქართველია, რას გაიგებს?

სიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობინა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შისაგან ავათმყოფობისა.

ხამშაბათს. მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

ოთხშაბათს. ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს-ავათმყოფობისა.

ხუთშაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბასუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევა—ძარღვების ავათმყოფობისა.

პარასკევს. მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

შაბათს. ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღ. სუსტის ავათმყოფობისა.

განცხადებანი

პატივი მაქვს ვაცნობო ტფილისში მობრძანებულთ მოვაჭრეებთა, რომ ამ წლის 1-ის ოქტომბრიდგან მე ავიღე იჯარით სიონის სობოროს პირ-და-პირ ბ. ონანოვის ახალი ქარვასლა, რომელშიაც ვაწყობ ნომრებს რკინის კრაოტებით, ფეჩებით და ყოველი მოწყობილება იქმნება სუფთად.

ფასი იქმნება იმავე წესით, როგორათაც სხვა ქარვასლებშია, იმავე რიგად, როგორადაც მქონდა ყორხმაზის ქარვასლა იჯარით.

ამავე ქარვასლაში იმყოფებიან შუა ეტაჟში № 48 კომმისიონერი გ. ია. რატიანი და ყ. ი. ჩიქოვანი.

მოიჯარადრე მეორე გილდი
ბეგორქ გარლამის-ძე ახნაზაროვი.
(10—2)

აუქციონი

2 და 9 ოქტომბერს 1882 წელსა კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში დანიშნულია გასყიდვა, ვერცხლეულისა, ოქროულისა და სხვა ძვირფასი ნივთებისა. (3—2)

საჭიროა ლაქია
იკითხეთ „ალაზანის“ სარდაფში, სოლოლაკის ქუჩაზე, მღ. ორბელის სახლებში. (2—2)

საქალებო გიმნაზიის მეექვსე კლასის შაგირდი იაფად ამეორებინებს და ამზადებს ყმაწვილებს თავის სახლში.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი, სახლის № 44, ფოჩტის სტანციის პირდაპირ. (5—3)

გამოვიდა და ისყიდება შემოკლებული
საქართველოს ისტორია
შედგენილი
მამსაშვილი-ცამციევის მიერ ექვთიმე ხელაძის სტამბაში ლორისმელიქოვის ქუჩაზე ქაშვეთის ეკკლესიის შენობაში
ფასი 70 კაპ.
(5—3)

ახალი ქართული
კარაბადინი
ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.
ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
თამარ დედოფალი
შედგენილი
კ. ბ—შვილისაგან
გამოცემა
ზაქ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ერთი აბაზი.

ისყიდება
ჩაი
ძმათა კ. და ს. პაპოვების ნამდვილი ფირმისა გირვანქობით და ყუთებით
ფასი გირვანქისა 1—40-მ. ვიდრე 3 მანეთამდის ათის პროცენტის დაკლებით—მანეთიდამ. არწრუნის ქარვასლაში, სიონის გვერდით ბ. ალხაზოვის კანტორაში. (6—3)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად
„ლივადია“
გოლოვინის პროსპექტზედ.
(20—19)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
სახსოვარი
ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.
შეკრებილი და გამოცემული
ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი ხუთი შაური.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი
მოთხრობანი
წიგნი მეორე.
ისყიდება ტფილისში: შავერდოვთან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).
ქუთაისში: ჭილაძის და ნიკოლაძის მაღაზიაში.
გორში: მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და გამოვიდა ახალი სომხური წიგნი
მწყემსის სტვირი
ლექსები, სიმღერები და ზღაპრები
ცნობის-მოყვარე ყრმათათვის
სკოლაში და შინ საკითხავად
აღაიანცისა
გამოცემა გ. მ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოსა.
ფასი ერთი აბაზი
(10—10)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში
მამულის
საერთო მფლობელობაზე
თხზულება
ანტონ ფურცელაძისა
გამოცემული
ზაქარ ჭიჭინაძისაგან.
ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში
იგავ-არაკნი
კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

ისყიდება
ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.
Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древней грузіи).
сост. Д. П. Пурцеладзе.
ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.
ფასი ერთი მანეთი

ტაქსია

საკვებად ხორაგეულებათა, რომელნიც ისყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 სეკტემბრიდამ 1 ოქტომბრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5 კ.
მეორის „	—1 გირ.	3½
მესამის „	—1 გირ.	—
იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	5½
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	6 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4½
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	8 კ.
მეორის „	—1 გირ.	7 კ.
სუკი — —	—1 გირ.	14 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	9 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	— კ.
მეორის „	—1 გირ.	— კ.

გამოვიდა ცალკე წიგნად
დრამა
სამშობლო!
ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.
ფასი 60 კაპ. (20—20)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

ბუნების კარი, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი **ი. გოგებაშვილისაგან**, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუკიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემპლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაუთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაუმატოს სამი შაური.

კარტა საქართველოსი, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურად.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 21 Сентября 1882 г. *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი